მოსკოვში ტარდება კონფერენცია „რუსეთი. საქართველო. ქრისტიანული აღმოსავლეთი. სულიერი და კულტურული კავშირები“

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 16.11.2022. 2022 წლის 16 ნოემბერს ანდრია რუბლიოვის სახ. ძველრუსული კულტურისა და ხელოვნების ცენტრალურ მუზეუმში (ЦМиАР) გაიხსნა X ყოველწლიური სამეცნიერო სემინარი „რუსეთი. საქართველო. ქრისტიანული აღმოსავლეთი. სულიერი და კულტურული კავშირები“, რომელიც ეძღვნება ანდრია რუბლიოვის სახ. მუზეუმის ორგანიზატორისა და პირველი დირექტორის დ.ი. არსენიშვილის ხსოვნას (1905-1963).

კოფერენციის მონაწილეებსა და სტუმრებს შორის არიან: ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტი ნიკოლოზი (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია), მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მრჩეველი დეკანოზი ნიკოლოზ ბალაშოვი, სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილის

მოვალეობის შემსრულებელი დეკანოზი იგორ იაკიმჩუკი, წმინდა ტიხონის მართლმადიდებლური ჰუმანიტარული უნივერსიტეტის (ПСТГУ) საეკლესიო მხატვრობის ფაკულტეტის დეკანი დეკანოზი ალექსანდრე სალტიკოვი, წმინდა დიდმოწამე და ძლევაშემოსილი გიორგის სახ. ქართული თემის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი თეოდორე კრეჩეტოვი, მუზეუმის თანამშრომლები და მეცნიერული საზოგადოების წარმომადგენლები.

სემინარების მონაწილეთა წინაშე გამოვიდა წმინდა დიდმოწამე და ძლევაშემოსილი გიორგის სახ. ქართული სამრევლოს მგალობელთა გუნდი.

შემდეგ დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა ЦМиАР-ის დირექტორის მოადგილემ განვითარების დარგში ს.ე. ბოგატირიოვი.

კონფერენციაზე პირველი მოხსენებით გამოვიდა ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტი ნიკოლოზი. თავისი გამოსვლა მან მიუძღვნა თემას „არქისტრატიგ მიქაელის სასწაული ხონეში. ისტორია და რეალობა“.

სემინარების პროგრამაშია: რუსეთის, საქართველოს, სირიისა და ეთიოპიის ქრისტიანული ხელოვნების, ასევე, ბიზანტიისა და მასთან მოსაზღვრე ქვეყნებში შექმნილი შუასაუკუნეების საეკლესიო ხელოვნების ძეგლების შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილი მოხსენებები. კონფერეენციის მონაწილენი განიხილავენ ხელოვნების ნაწარმოებების ატრიბუციის პრობლემებს, ქართველური ტომების ისტორიას, რუსეთში საქართველოს ეკლესიის გამოჩენილ მოღვაწეთა ღვაწლს, ასევე, სატაძრო ფერწერის აღმოსავლურ-ქრისტიანულ ტრადიციებს.

ზოგიერთი მომხსენებელი მუშაობაში ონლაინ-ტრანსლიაციით ერთვება.

კონფერენციის მუშაობა 17 ნოემბერს დასრულდება.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89803/